

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №...

2018 წლის ... ..

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის  
განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

**მუხლი 1.**

1. დამტკიცდეს „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა“ დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე დადგენილება საჯაროდ გაცნობის მიზნით, მისი ძალაში შესვლის შემდეგ, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინტერნეტგვერდზე.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე